ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97. 9725050001**

თარიღი:**19/02/2025**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა N-02

დ. ლენტეხი 18/თებერვალი/2025წ.

მიმდინარე წლის 18 თებერვალს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა ბიუროს 10 (ათი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა ბიუროს 8 (რვა) წევრი.

სხდომას ესწრებოდა მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი და საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების მიერ მომზადებულია საკითხები საკრებულოს მორიგ სხდომაზე გასატანად. შესაბამისად მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.**

   /მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.**

   /მომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

3. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 იანვრის N-02 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

4. **2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.**

   /მომხს: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე/

5. **სხვადასხვა. (მოქალაქეების განცხადებები)**

შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

1.მოისმინეს: დადგენილების პროექტი - „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა. რომ დაბაში ამ კუთხით არის ქაოსი და აუცილებლად კანონის ფარგლებში უნდა მოექცეს ბაზრობის და ვაჭრობის პროცესები.

აზრი გამოთქვა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ირაკლი ქურასბედიანმა - დაბაში ამ კუთხით ნამდვილად არის ქაოსი და აუცილებლად კანონის ფარგლებში უნდა მოექცეს ბაზრობის და გადასახადების ამოღების პროცესი. მით უმეტეს, რომ უკვე არის ახალი აშენებული ბაზრის ობიექტი.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა; საკითხი კარგად არის მომზადებული, ნამდვილად დროულია ამ დადგენილების მიღება. ჩვენ გვიწერია კონტროლის განმახორციელებლად მერიის ზედამხედველობის სამსახური. თუ მერიისთვის არ იქნება მისაღები კონტროლის ეს ფორმა, ჩვენ მზად ვართ გავითვალისწინოთ მათი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ბიუროს წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი და ღია კენჭისყრით

მომხრე - 10

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს : დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

2. მოისმინეს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძალიან დაბალია დაბისთვის დადგენილი ფასი. ბოლო ათი წლის მანძილზე არ შეცვლილა ეს ფასი და კარგი იქნება თუ გავზრდით ამ ფასს, მით უმეტეს, რომ ყოველდღიურად იზრდება ყველაფრის ფასები.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - იმისთვის, რომ გაიზარდოს მიწის ნორმატიული ფასი აუცილებელია შეიცვალოს K კოეფიციენტი. დღეის მდგომარეობით K არის 50 და შეგვიძლია გავზარდოთ 100-მდე.

აზრი გამოთქვა: ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ ჩაატაროს კომისიის სხდომა და მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე. შესაბამისად ეს საკითხი გათვალისწინებული იქნება საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

3. მოისმინეს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - **„ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 იანვრის N-02 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

მომხსენებელმა განმარტა, რომ სოციალური დახმარების გაცემის წესი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტთან. შესაბამისად დადგენილებაში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგის მიხედვით:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23-იანვრის N-02 დადგენილებით დამტკიცებულ დანართ N-1-ში შემდეგი სახით:

1.დანართის მე-5-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 5. დაბადებიდან შ.შ.მ. პირებზე და 0-18 წლამდე ასაკის რეაბილიტაცია/აბლიტაციის საჭიროების მქონე ბავშვთა ფინანსური დახმარება;

1. დახმარება მიეცემათ ბავშვობიდან შ.შ.პ.-ს , რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და დაავადებული არიან:

ა) ცერებრალური დაბლა;

ბ) დაუნის სინდრომი;

გ) ლეიკემია;

დ) ყრუ-მუნჯი.

ე) შაქრიანი დიაბეტი I ტიპი;

დახმარება გაიცემა 18-წლამდე ყოველთვიურად 100 (ასი)ლარის ოდენობით. 80(ოთხმოცი)ლარის ოდენობით, იმ ბენეფიციარზე რომელიც ვერ გადაადგილდება და სარგებლობს ეტლით, ხოლო დანარჩენ ბენეფიციარებზე დახმარება გაიცემა 60 (სამოცი) ლარის ოდენობით;

თანხა გაიცეს 2024წ - დან არსებული ბაზის საფუძველზე და ახალი ბენეფიციარის გამოვლენის შემთხვევაში დახმარების მიმღებმა პირმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განაცხადი მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) ბენეფიციარის პირადობის ასლი ან დაბადების მოწმობის ასლი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ამონაწერი სოციალური სუბსიდიების სააგენტოდან);

დ) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი;''

2. დანართს დაემატოს მე-5^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 5^1. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა.

1.დახმარება გაეწევა ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც საჭიროებენ რეაბილიტაცია/აბლიტაციას შემდეგი დაავადებების დროს: აუტიზმის სპექტრი, დაუნის სინდრომი, ცერებრალური დამბლის, განვითარების ეტაპების შეფერხება და ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები, აღნიშნულ კატეგორიას დაუფინანსდება სარეაბილიტაციო პროცედურები, მოთხოვნილი გადასახდელი თანხის წლის განმავლობაში 50 % არაუმეტეს 2000 (ორი ათასი)ლარისა.

დახმარების მიმღებმა პირის მშობელმა/ კანონიერმა მეურვემ მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განაცხადი მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბენეფიციარის პირადობის ან დაბადების მოწმობის ასლი;

დ) შშმ პირის მოწმობის ასლი

ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა # IV-100/ა სადაც მითითებული უნდა იყოს ბენეფიციარის ძირითადი დიაგნოზი)

ვ) ხარჯთა-აღრიცხვის დოკუმენტი (ანგარიშ- ფაქტურა/ ინვოისი და კალკულაცია)

ზ) საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის ან სხვა სადაზღვევო კომპანიის მერ გაცემული მიმართვა საგარანტიო წერილი (არსებობის შემთხვევაში)

თ) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები

ი) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.''

3.დანართის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 7. ხანდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახამრება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემა ლენტეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ყველა ხანდაზმულს მოქალაქეს, რომელთა ასაკი განისაზღვრება 90წელს ზემოთ.

დახმარების თანხა განისაზღვრება 90-94წლამდე 150 (ას ორმოცდაათი)ლარის ოდენობით, 95-99 წლამდე 250 (ორასორმოცდაათი)ლარი და 100 წელს ზემოთ 1000 (ერთი ათასი)ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია:

ა) ხანდაზმულის ან მისი ოჯახის წევრის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) ხანდაზმულის პირადობის მოწმობის ასლი;

გ)განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

დ)განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;''

4 .დანართის მე-10-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 10. ომის ვეტერანთა დახმარება.

1.ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახმარება მიეცემა საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ეროვნული გმირის ოჯახს, თანხა განისაზღვროს 3000 (სამიათასი)ლარის ოდენობით ერთჯერადად.

2.სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელების ოჯახების დახმარება , თანხა განისაზღვროს 2000 (ორიათასი)ლარის ოდენობით, ერთჯერადად.

3.საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლების საბრძოლო მოქმედების მონაწილე ვეტერანთა დახმარება თანხა განისაზღვროს 400 ლარის ოდენობით, ერთჯერადად.

4.ჩერნობილის ატომური აფეთქების და 1989 წლის 9 აპრილის დროს დაზარალებულთა დახმარება, თანხა განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით ერთჯერადად.

მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ომის ვეტერნის ან დაზარალებულის მოწმობის (სტატუსის) ასლი;

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;''

მუხლი 2.დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბიუროს წევრებმა ღია კენჭისყრით:

მომხრე -10

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი - **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 იანვრის N-02 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.**

4. მოისმინეს: ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ საკითხი - 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ სრულყოფილად არის მომზადებული მერიის მიერ და შესაბამისად გათვალისწინებული იქნება მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -10

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.**

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

3. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 იანვრის N-02 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

4. 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე/

5. **სხვადასხვა. (მოქალაქეების განცხადებები)**

ბიუროს სხდომა დასრულდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი